

შპს „მშვიდობა“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრებასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11



Tax Management & Consulting

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „მშვიდობა“-ის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მშვიდობა“-ის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული სრული შემოსავლების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენის აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული მოსაზრების გამოსათქმელად.

სხვა გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია ეყრდნობა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, რომლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებული აქვს შპს „სტორნო აუდიტს“.

ჩვენ არ ვიყავით ჩართული კომპანიის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან მიმოხილვის ჩატარებაში ან რამე სხვა პროცედურის გამოყენებაში და ამგვარად არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ან რაიმე სახის რწმუნებას მთლიანობაში 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისათვის, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ მოსაზრებას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ არის თუ არა იგი არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის მოსაზრება, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის მოსაზრებაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები ეყრდნობა აუდიტორის მოსაზრების თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მათთან, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორთა მოსაზრებაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის მოსაზრებაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ მოსაზრებაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი

ლევან აგლაძე

შპს თიემსი

1 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.


მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორთა მოსაზრებაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის მოსაზრებაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ მოსაზრებაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი

ლევან აგლაძე

შპს თიემსი

1 ოქტომბერი 2019



თბილისი, საქართველო

შპს „მშვიდობა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3	1,249,798	1,930,596
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	1,296,314	1,250,256
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	883,179	686,770
სულ მიმდინარე აქტივები		3,429,291	3,867,622
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,936,094	2,850,246
არამატერიალური აქტივები	7	33,069	35,550
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,969,163	2,885,796
სულ აქტივები		6,398,454	6,753,418
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	2,635,839	1,604,088
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,635,839	1,604,088
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		88,415	88,415
გაუნაწილებელი მოგება		3,674,200	5,060,915
სულ საკუთარი კაპიტალი		3,762,615	5,149,330
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		6,398,454	6,753,418

შპს „მშვიდობა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3	1,249,798	1,930,596
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	1,296,314	1,250,256
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	883,179	686,770
სულ მიმდინარე აქტივები		3,429,291	3,867,622
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,936,094	2,850,246
არამატერიალური აქტივები	7	33,069	35,550
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,969,163	2,885,796
სულ აქტივები		6,398,454	6,753,418
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	2,635,839	1,604,088
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,635,839	1,604,088
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		88,415	88,415
გაუნაწილებელი მოგება		3,674,200	5,060,915
სულ საკუთარი კაპიტალი		3,762,615	5,149,330
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		6,398,454	6,753,418

შპს „მშვიდობა“-ის
დირექტორი ერჩიმ ტოსიალი



შპს „მშვიდობა“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
ამონაგები	9	39,653,321	38,244,293
სხვა შემოსავალი		367,728	110,200
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(3,834,174)	(3,857,837)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს ხარჯი		(9,500,900)	(6,633,649)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(1,080,390)	(1,070,247)
საგადასახადო ხარჯი		(3,997,005)	(3,723,557)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	11	(9,692,693)	(7,976,138)
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან		11,915,887	15,093,065
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(20,231)	(26,132)
სხვა წმინდა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)		(683,019)	-
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან		(703,250)	(26,132)
მოგება დაბეგვრამდე		11,212,637	15,066,933
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		11,212,637	15,066,933

შპს „მშვიდობა“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
ამონაგები	9	39,653,321	38,244,293
სხვა შემოსავალი		367,728	110,200
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(3,834,174)	(3,857,837)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს ხარჯი		(9,500,900)	(6,633,649)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(1,080,390)	(1,070,247)
საგადასახადო ხარჯი		(3,997,005)	(3,723,557)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	11	(9,692,693)	(7,976,138)
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან		11,915,887	15,093,065
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(20,231)	(26,132)
სხვა წმინდა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)		(683,019)	-
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან		(703,250)	(26,132)
მოგება დაბეგვრამდე		11,212,637	15,066,933
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		11,212,637	15,066,933

შპს „მშვიდობა“-ის
დირექტორი ერჩიმ ტოსიალი



შპს „მშვიდობა“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018 პერიოდისთვის

	2018 ლარი	2017 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	38,920,935	37,851,339
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(12,613,972)	(11,338,597)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(6,818,166)	(4,873,804)
გადახდილი გადასახადები	(7,485,512)	(6,494,479)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	12,003,285	15,144,459
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,226,297)	(611,481)
გადახდილი დივიდენდი	(11,452,802)	(14,126,500)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(12,679,099)	(14,737,981)
შემოსავალი სავალუტო გადაფასებიდან	43,070	37,334
ხარჯი სავალუტო გადაფასებიდან	(48,054)	(58,827)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(4,984)	(21,493)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(680,798)	384,985
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,930,596	1,545,611
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,249,798	1,930,596

შპს „მშვიდობა“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018 პერიოდისთვის

	2018 ლარი	2017 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	38,920,935	37,851,339
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(12,613,972)	(11,338,597)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(6,818,166)	(4,873,804)
გადახდილი გადასახადები	(7,485,512)	(6,494,479)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	12,003,285	15,144,459
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,226,297)	(611,481)
გადახდილი დივიდენდი	(11,452,802)	(14,126,500)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(12,679,099)	(14,737,981)
შემოსავალი სავალუტო გადაფასებიდან	43,070	37,334
ხარჯი სავალუტო გადაფასებიდან	(48,054)	(58,827)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(4,984)	(21,493)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(680,798)	384,985
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,930,596	1,545,611
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,249,798	1,930,596

შპს „მშვიდობა“-ის
დირექტორი ერჩიმ ტოსიალი

შპს „მშვიდობა“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2016	88,415	3,993,982	4,082,397
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	(14,000,000)	(14,000,000)
პერიოდის მოგება	-	15,066,933	15,066,933
ნაშთი - 31.12.2017	88,415	5,060,915	5,149,330
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	(12,599,352)	(12,599,352)
პერიოდის მოგება	-	11,212,637	11,212,637
ნაშთი - 31.12.2018	88,415	3,674,200	3,762,615

შპს „მშვიდობა“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2016	88,415	3,993,982	4,082,397
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	(14,000,000)	(14,000,000)
პერიოდის მოგება	-	15,066,933	15,066,933
ნაშთი - 31.12.2017	88,415	5,060,915	5,149,330
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	(12,599,352)	(12,599,352)
პერიოდის მოგება	-	11,212,637	11,212,637
ნაშთი - 31.12.2018	88,415	3,674,200	3,762,615

შპს „მშვიდობა“-ის
დირექტორი ერჩიმ ტოსიალი



შპს „მშვიდობა“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. კორპორატიული სტრუქტურა და ძირითადი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “მშვიდობა” დაფუძნებულია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის შესაბამისად 2010 წლის 18 იანვარს, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი 445383175.

2018 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის 100%-იანი წილის ბენეფიციარი მფლობელები არიან ფიზიკური პირები:

მუჯდება ალგუნი - 40%-ის წილის მფლობელი

აბდულა მეთილ თორამან - 40%-ის წილის მფლობელი

ერჩიმ ტოსიალი - 20%-ის წილის მფლობელი

კომპანიის დირექტორია ერჩიმ ტოსიალი (პ/ნ 23545218426, U 02076929, 61901095561 - საქართველო, თურქეთი).

კომპანიის მიერ გამოცხადებული და შევსებული საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 88 415 ლარს.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველასა და ნინოშვილის ქ. №2/21

კომპანიის ძირითად საქმიანობაა აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის მიერ საანგარიშგებო პერიოდად მიჩნეულია კალენდარული წელი რომელიც მოიცავს პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი რადგან, ლარი როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, სრულად ასახავს კომპანიის მიერ განხორციელებული ოპერაციების ეკონომიკურ არსს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნით ქართული ლარი არის ანგარიშგების ვალუტა.

შესაბამისობის განცხადება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

აქტივების ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ მიცემული ფასეული აქტივების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოური ვალუტის კონვერტირება - კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის სამუშაო ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება იმ პერიოდის სრულ შემოსავლების ანგარიშგებაში როდესაც ისინი წარმოიქმნენ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები - ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. საწყისი აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებით, დაგროვილ ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს. კომპანიის მიერ დადგენილია ძირითადი საშუალებების მომსახურების შემდეგი ვადები:

აქტივის ჯგუფი	წელი
სამორინეს აღჭურვილობა	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7

ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შეპირისპირებით მის საბალანსო ღირებულებასთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით როგორც არასაოპერაციო მოგება/ზარალი.

არამატერიალური აქტივები - არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებსა და ავტომობილის ფასიან სანომრე ნიშნებს. კომპანიის მიერ არამატერიალურ აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადად დადგენილია 7 წელი. არამატერიალური აქტივების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით ხოლო შემდგომი საწყისი ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია.

სასაქონლო მატერიალური მარაგები - სასაქონლო მატერიალური მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის, გადამამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მათ ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. საწყისი აღიარების შემდგომ მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში მარაგების გასაყიდი ფასი შემცირებული მათ გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯებით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

გადასახადები - მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია

დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაშია ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს და მისი ადმინისტრირება ხდება ყოველთვიურად. 2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება შესაბამისი ვალდებულება. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ აქტივებს ჰყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

(ა) სესხები და მოთხოვნები - ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნებისა და გაცემულ სესხებისთვის, რომლებიც წმინდა

ღირებულებით არის წარმოდგენილი, ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნების, გაცემული სესხებისა და ფულისა და ფულის ეკვივალენტების სახით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

(ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები - დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომლის დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და პოტენციური შესაძლებლობაც გააჩნია საწარმოს, გარდა იმისა:

(ა) რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღირებისას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით;

(ბ) რომლებსაც კომპანია განიხილავს, როგორც გასაყიდად არსებულს; და

(გ) რომლებსაც მიესადაგება განმარტება-სესხები დამოთხოვნები.

(გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით - რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

(ა) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული. ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ გამიზნული, თუ იგი:

- (i) შეძენილია ან აღებულია მხოლოდ გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით უახლოეს ვადებში;
- (ii) თავდაპირველი აღირებისას გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომლებიც ერთად იმართება და რომლისთვისაც უახლოეს წარსულში მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს; ან
- (iii) წარმოებული ინსტრუმენტია (იმ წარმოებულის გამოკლებით, რომელიც არის ფინანსური გარანტიის კონტრაქტი, ან ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტადაა მიჩნეული).

(ბ) თავდაპირველი აღირებისას კომპანიის მიერ იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანიას ამგვარი კლასიფიკაციის გამოყენება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში შეიძლება:

(i) თუ კონტრაქტი შეიცავს ერთ ან მეტ წარმოებულ ინსტრუმენტს, კომპანიას უფლება აქვს, ჰიბრიდული (კომბინირებული) კონტრაქტი მიიჩნიოს ფინანსურ აქტივად, რომელიც

კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:

- ჩართული წარმოებული (წარმოებულები) მნიშვნელოვნად არ ცვლის იმ ფულადი ნაკადების სიდიდეს, რომელიც კონტრაქტით სხვა შემთხვევაში იქნებოდა მოთხოვნილი;
- მსგავსი ჰიბრიდული (კომბინირებული) ინსტრუმენტის პირველად განხილვის დროს, ანალიზის გარეშე ან მცირე ანალიზიდანაც აშკარად ჩანს, რომ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ცალკე გამოყოფა იკრძალება, როგორცაა, მაგალითად, სესხში ჩართული წინასწარ გადახდის არჩევანის უფლება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, სესხის დასაფარად გადაიხადოს დაახლოებით მისი ამორტიზებული ღირებულების ტოლი თანხა; ან

(ii) როდესაც ამის გაკეთება უფრო შესაბამის ინფორმაციას იძლევა, რადგან:

- იგი მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასებით ან აღიარებით გამოწვეულ შეუსაბამოებს (ე.წ. „სააღრიცხვო შეუსაბამობას“), რაც სხვა შემთხვევაში წარმოიქმნებოდა განსხვავებულ საფუძველზე აქტივების შეფასებიდან ან მათი შესაბამისი შემოსულობებისა და ზარალის აღიარებიდან; ან
- ფინანსური აქტივების ჯგუფი იმართება და მისი შედეგის შეფასება რეალური ღირებულების საფუძველზე ხდება, დადგენილი რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად და აღნიშნული ჯგუფის შესახებ ამავე საფუძველზე მომზადებული ინფორმაცია მიეწოდება კომპანიის ფარგლებში, კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(დ) გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები - გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა - კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა ან კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. კომპანიის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური აქტივის შესახებ ინფორმაცია):

(i) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;

(ii) თავდაპირველი აღიარებისას კომპანიის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა - კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა - ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

მოკლევადიანი მოთხოვნები - მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

ფინანსური ვალდებულებები - კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა გადასახდელებს.

საწესდებო კაპიტალი - საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელის მიერ.

დივიდენდები - დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ამონაგების აღიარება

(ა) მომგებიანი და აზარტული თამაშოებებიდან მიღებული ამონაგები

სათამაშო მაგიდებიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება ყოველი საანგარიშო დღის ბოლოს სათამაშო მაგიდებიდან მიღებული შედეგების მიხედვით, კერძოდ, გაცემული, დაბრუნებული და მომხმარებელთან დარჩენილი ჟეტონების აღრიცხვის საფუძველზე.

სათამაშო აპარატებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება დღის ბოლოს აპარატში არსებული ელექტრონული მრიცხველების მიხედვით.

(ბ) საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა

გაყიდვებთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის (მომსახურების) მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ფასდაკლებებით.

საწარმო მომსახურებიდან ამონაგებს აღიარებს მომსახურების გაწევის შესაბამის საანგარიშგებო პერიოდებში.

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება. მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

ბ) საწარმოში მოსალოდნელია მომსახურების ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა;

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საწარმოს მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას.

ხარჯების აღიარება - სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების კრიტერიუმების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2018	2017
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული სალაროში	1,164,990	1,706,409
ფული საბანკო ანგარიშებზე	84,808	224,187
	1,249,798	1,930,596

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018 ლარი	2017 ლარი
ბანკთან დროებითი მოთხოვნა	55,404	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7,630	34,813
საგადასახადო აქტივი	1,223,551	1,117,317
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1,390	2,072
მოთხოვნები მიწოდებიდან	8,339	-
სათამაშო მაგიდებთან და აპარატებთან დაკავშირებული მოთხოვნა	-	96,054
	1,296,314	1,250,256

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2018 ლარი	2017 ლარი
საქონელი	117,069	122,985
ნედლეული და მასალები	292,271	328,225
ხელსაწყოები	33	30
დამხმარე მასალები	472,006	235,530
მცირეფასიანი ინვენტარი	1,800	-
	883,179	686,770

6. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	ნაშთი 01.01.2018	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2018
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მანქანა დანადგარები	4,741,498	788,660	(8,186)	5,521,972
ოფისის არჭურვილობა	983,395	175,334	(97,886)	1,060,843
ავეჯი და სხვა ინვენტარი	391,831	114,596	(6,558)	499,869
სატრანსპორტო საშუალებები	485,484	131,018	(71,993)	544,509
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	391,912	6,691	-	398,603
ჯამი	6,994,120	1,216,299	(184,623)	8,025,796
ცვეთა	ნაშთი 01.01.2018	2018 წლის ცვეთა	გასული აქტივების ცვეთა	ნაშთი 31.12.2018
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მანქანა დანადგარები	2,787,202	715,105	(7,504)	3,494,803
ოფისის არჭურვილობა	574,172	161,010	(79,427)	655,755
ავეჯი და სხვა ინვენტარი	233,116	79,577	(6,354)	306,339
სატრანსპორტო საშუალებები	253,514	81,234	(28,797)	305,951
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	295,870	30,984	-	326,854
ჯამი	4,143,874	1,067,910	(122,082)	5,089,702
საბალანსო ღირებულება	2,850,246			2,936,094

7. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები ლარი
თვითღირებულება	
1 იანვარი 2018 წ.	161,890
შემოსვლა	10,000
გასვლა	(230)
31 დეკემბერი 2018 წ.	171,660

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2018 წ.	126,340
წლიური ამორტიზაცია	12,481
გასული აქტივების ამორტიზაცია	(230)
31 დეკემბერი 2018 წ.	138,591

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2018 წ.	33,069
----------------------	---------------

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018 ლარი	2017 ლარი
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	1,706,452	1,041,848
მიღებული ავანსები	123,826	-
გადასახდელი ხელფასები პერსონალზე	805,561	562,240
	2,635,839	1,604,088

9. ამონაგები

	2018	2017
	ლარი	ლარი
შემოსავალი სათამაშო მაგიდეებიდან	14,468,136	12,502,281
შემოსავალი სათამაშო აპარატებიდან	23,986,019	25,209,980
სხვა	1,199,166	532,032
	39,653,321	38,244,293

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულ ყველა ძირითად სასაქონლო მატერიალურ მარაგს.

11. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
	ლარი	ლარი
აუდიტორული დასკვნის ხარჯი	(46,346)	-
კომუნალური ხარჯი	(452,606)	(406,177)
კომუნიკაციის ხარჯები	(349,528)	(167,571)
იჯარის ხარჯი	(4,493,376)	(4,721,116)
რემონტის დანახარჯები	(530,184)	(5,718)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(246,881)	(52,234)
სასტუმროს ხარჯი	(3,122,970)	(2,334,701)
არარეზიდენტის ხარჯი	(165,603)	(14,078)
დაზღვევა	(27,601)	(18,918)
შემოსავლების სამსახურის მომსახურების ხარჯი	(1,401)	(1,052)
საგადასახადო ჯარიმები	(8,000)	-
სხვა საერთო ხარჯი	(248,197)	(254,573)
	(9,692,693)	(7,976,138)

12. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი (საპროცენტო რისკი და უცხოური ვალუტის რისკი);
- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი.

მსგავსად სხვა ბიზნესისა, კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს.

კაპიტალის მართვის მიდგომა - კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

საბაზრო რისკი - საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

- **საპროცენტო რისკი** - საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

- **სავალუტო რისკი** - სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. საანგარიშო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებულ ოპერაციებია:

დაკავშირებულ მხარე	ოპერაცია	ლარი
პარტნიორი ერჩიმ ტოსიალი	დივიდენდი	2,411,116
პარტნიორი მუჯდება ალგუნი	დივიდენდი	4,822,232
პარტნიორი აბდულა მეთინ თორამან	დივიდენდი	4,822,232
დირექტორის მინდობილი პირი	ხელფასი	87,950

დივიდენდის მაჩვენებელი არ მოიცავს მოგების გადასახადს.

14. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

იურიდიული საკითხები - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ არის გაკეთებული.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე (01.10.2019) კომპანიაში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენას:

- დამფუძნებლებზე განაწილებულია დივიდენდი 7 000 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული მაჩვენებელი არ მოიცავს შესაბამის მოგების გადასახადს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 1 ოქტომბერს.

შპს „მშვიდობა“-ის

დირექტორი ერჩიმ ტოსიალი

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე (01.10.2019) კომპანიაში აღგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენას:

- დამფუძნებლებზე განაწილებულია დივიდენდი 7 000 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული მაჩვენებელი არ მოიცავს შესაბამის მოგების გადასახადს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 1 ოქტომბერს.

შპს „მშვიდობა“-ის

დირექტორი ერჩიმ ტოსიალი



შპს მშვიდობის
მმართველობის ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა

შპს „მშვიდობის“ დირექტორის მიმართვა

მვირფასო პარტნიორებო და მართველობითი ანგარიშის მომხმარებლებო

კომპანიის დაფუძნების და შემდგომი წლები კომპანიის ბიზნესიდან და ჩვენს მიერ მომხმარებლებისათვის შეთავაზებული სათამაშო პროდუქტებიდან გამომდინარე იყო პროგრესირებადი და მზარდი. აღნიშნული წარმატება მიღწეულია კომპანიაში მომუშავე გამოცდილი და პროფესიული კადრებით, აგრეთვე მუდმივად ბაზარზე ორიენტირებული პროცესებში ჩართულობით.

2018 წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისა, რომ ხელსაყრელ გარემოებებში, კომპანია მომავალში შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით კომპანიას განზრახული აქვს 2019 წელსაც გააგრძელოს მომსახურების მაღალი სტანდარტების დანერგვა და მათი კლიენტებისთვის მიწოდება, კომპანიის მართვის სისტემის სრულყოფა, ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლება.

მიმაჩნია, რომ შპს „მშვიდობას“ მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს საზოგადოების თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

საზოგადოების მიმოხილვა

შპს მშვიდობა დაფუძნებულია 2010 წლის 18 იანვარს, სარეგისტრაციო კოდი 445383175.

კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან:

მუჯდება ალგუნი - 40%-ის წილის მფლობელი;
აბდულა მეთილ თორამან - 40%-ის წილის მფლობელი;
ერჩიმ ტოსიალი - 20%-ის წილის მფლობელი.

კომპანიის დირექტორია ერჩიმ ტოსიალი.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია - საქართველო, ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველასა და ნინოშვილის ქ. №2/21.


კომპანიის საქმიანობაა სათამაშო ბიზნესი რომელიც ხორციელდება ბათუმის სასტუმრო “შერატონში“.

მართვის სტრუქტურა

კომპანიის შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობის შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

დირექტორი საზოგადოების მართვას ანხორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.



კომპანის საქმიანობის მიმოხილვა

2018 წელს კომპანიის ამოანგები საოპერაციო საქმიანობიდან (დღგ-ს გარეშე) წინა წელთან შედარებით გაზრდილია 4%-ით ხოლო წმინდა მოგება შემცირდა 26%-ით.

2018 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 404 ადამიანი.

საზოგადოების განვითარების გეგმები

2019 წლისთვის მისაღები მთლიანი შემოსავლის (დღგ-ს გარეშე) ზრდა გათვალისწინებულია 5%-ით ხოლო მოგების ნაწილში ზრდა დაგეგმილია 2%

მენეჯმენტის მიერ მომავალი წლის პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა:

- კლიენტების მაჩვენებლის ზრდა 2%-ით;
- ხარჯების ეკონომია 3%-ით.

კლიენტების მაჩვენებლის ზრდა ძირითადად ორიენტირებულია ახალი გეოგრაფიული ლოკაციებიდან სპეციალური ჯგუფების შემოყვანით. ამ მიზნით დაგეგმილია შესაბამისი სარეკლამო აქტივობების განხორციელება.

დირექტორი

ერჩიმ ტოსიალი

1 ოქტომბერი 2019

კომპანის საქმიანობის მიმოხილვა

2018 წელს კომპანიის ამოანგები საოპერაციო საქმიანობიდან (დღგ-ს გარეშე) წინა წელთან შედარებით გაზრდილია 4%-ით ხოლო წმინდა მოგება შემცირდა 26%-ით.

2018 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 404 ადამიანი.

საზოგადოების განვითარების გეგმები


2019 წლისთვის მისაღები მთლიანი შემოსავლის (დღგ-ს გარეშე) ზრდა გათვალისწინებულია 5%-ით ხოლო მოგების ნაწილში ზრდა დაგეგმილია 2%

მენეჯმენტის მიერ მომავალი წლის პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა:

- კლიენტების მაჩვენებლის ზრდა 2%-ით;
- ხარჯების ეკონომია 3%-ით.

კლიენტების მაჩვენებლის ზრდა ძირითადად ორიენტირებულია ახალი გეოგრაფიული ლოკაციებიდან სპეციალური ჯგუფების შემოყვანით. ამ მიზნით დაგეგმილია შესაბამისი სარეკლამო აქტივობების განხორციელება.

დირექტორი


ერჩიმ ტოსიალი



1 ოქტომბერი 2019

მინდობილობა

8.03.2016

ქალაქი ბათუმი, ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდასამი სექტემბერი
მე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მშვიდობა“-ს (რეგისტრირებული
18/01/2010წ., საიდენტიფიკაციო კოდი: 445383175, იურიდიული მისამართი: საქართველო,
ბათუმი, ვაჟა-ფშაველასა და ნინოშვილის ქ.№2/21) დირექტორი ერჩიმ ტოსიალი,
დაბადებული 02.08.1968წ., მცხოვრები: ბათუმი, შ. რუსთაველის ქუჩა N.28, პირადი
N.61901095561, ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ ბატონ მეჰმეთ ესენს, დაბადებული
18.06.1967წ., სტამბოლში, მცხოვრები თურქეთი, ქ.სტამბოლი, ბაქირქოის რაიონი, ათაქოის
მე-2 ნაწილი, მ-2 ბლოკი N1/1, თურქეთის რესპუბლიკის პასპორტი №U02887275, პირადი
№13448292418, გაცემული 18.07.2011წ., თურქეთის რესპუბლიკის გენერალური
საკონსულოს მიერ ქ.ბათუმში:

- დაიცვას საზოგადოების ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები, წარმოადგინოს საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი პირის (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული) წინაშე, მათ შორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, მისი მმართველობის სფეროში მოქმედ განყოფილებებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, სამინისტროებში, ხელი მოაწეროს ნებისმიერ ხელშეკრულებას, აქტს/განცხადებას, ჩააბაროს, დაარეგისტრიროს, გამოითხოვოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, გადაიხადოს შესაბამისი გადასახადები;
- აწარმოოს საზოგადოების სახელით სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეები პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლო ორგანოებში, არბიტრაჟსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში, ყველა იმ უფლებით, რაც კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს და დაზარალებულს, მათ შორის უფლებით აღძრას სარჩელი, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, ცნოს სარჩელი, შეცვალოს სარჩელის საგანი ან/და საფუძველი, დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივროს ნებისმიერი აქტი, მათ შორის ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები, განჩინებები, მონაწილეობა მიიღოს სააღსრულებო წარმოებაში, მიიღოს და წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად, მიიღოს მოკუთვნიებული თანხა/ქონება, წარადგინოს და მიიღოს შესაბამისი დოკუმენტაცია;
- საზოგადოების სახელზე ნებისმიერ ბანკში გახსნილ ანგარიშებზე, როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში, ყოველ სერვის ცენტრსა და განყოფილებაში აწარმოოს ყველა სახის საბანკო ოპერაცია, გახსნას და/ან დახუროს ანგარიშები, გამოიტანოს, შეიტანოს და/ან გადარიცხოს თანხები, მიიღოს ამონაწერები, ინფორმაცია საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის მოძრაობისა და ნაშთების შესახებ, ისარგებლოს დისტანციური მომსახურებით (გააქტიურებისა და გაუქმების უფლებით), მათ შორის ინტერნეტ ბანკინგით;
- შეიძინოს, შეცვალოს, მიიღოს საკონტროლო-საღარი აპარატები, უზრუნველყოს რეგისტრაცია;
- ხელი მოაწეროს საზოგადოების განკარგულებითი ხასიათის დოკუმენტებს, მათ შორის ბრძანებებს;
- საზოგადოების სახელით განსაზღვროს მოსაწვევ პირთა წრე და ხელი მოაწეროს მოწვევებს, მოსაწვევ პირთათვის ვიზის (მათ შორის ორდინალური ვიზის) მისაღებად/გასაცემად, დაამოწმებინოს სათანადო წესით, განაცხადოს თანხმობა, რათა მოწვევაში მითითებული საზოგადოების პერსონალური მონაცემები, ვიზის გაცემის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში გადაეცეს და/ან სხვაგვარად დამუშავდეს საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების/უწყებების მიერ;

- დადოს (შეიტანოს ცვლილებები, გააუქმოს) შრომითი ხელშეკრულებები, კომერციული გარიგებები და უზრუნველყოს მათი შესრულება, შეიძინოს საქონელი, მოახდინოს საქონლის (ტვირთის) მიღება, ნებისმიერი სასაქონლო ოპერაციის წარმოება (საქონლის გაფორმება, დეკლარირება, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, შევსება, მიღება, სატარიფო ღირებულების გადახდა და სხვ.), ტრანსპორტირება, განახორციელოს რეალიზაცია სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებით, სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში გააფორმოს საზოგადოების სახელზე, მიიღოს სარეგისტრაციო ნომერი და მოწმობა, მოახდინოს ანგარიშსწორება, გამოიყენოს საზოგადოების ბეჭედი დანიშნულებისამებრ;
- საზოგადოების სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის ხელშეკრულებას, მათ შორის სხვადასხვა სახის პროდუქტის, უძრავ-მოძრავი ქონების შეძენის ხელშეკრულებებს, მონაწილეობა მიიღოს აუქციონებში, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებათა შეწყვეტის/გაუქმების/გაგრძელების აქტებსა თუ ხელშეკრულებებს, განკარგოს საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება და დაარეგისტრიროს შესაბამისი აქტი/დოკუმენტი შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში, მიიღოს შესაბამისი თანხები;
- წარმოადგინოს საზოგადოება საქართველოს ნებისმიერ კომერციულ ბანკთან, მოითხოვოს და ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს საზოგადოების სახელით, მათ შორის სესხის ხელშეკრულებებს ბანკებთან და ფინანსურ ორგანიზაციებთან, ხელი მოაწეროს და მიიღოს სავალო ვალდებულებები, საგადახდო დავალებები, თამასუქები, აკრედიტივები, გარანტიები.
- ზემოთაღნიშნულის შესასრულებლად მიიღოს და წარადგინოს ცნობები, ხელი მოაწეროს სათანადო დოკუმენტაციას და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ყველა მოქმედება და ფორმალობა, რაც დაკავშირებული იქნება მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, შემდგომი გადანდობის უფლებით.

მიმნდობი:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მშვიდობა“-ს სახელით, დირექტორი:



თარჯიმანი ლელა ბოლქვაძე მ. ბოლქვაძე ლელა ბოლქვაძე

საქართველო
ქალაქი ბათუმი

ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდასამ სექტემბერს მე, ნოტარიუს მარინა მახარაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ბარათაშვილის ქუჩა N.22, მომმართა ბატონმა ერჩიმ ტოსიალიმ, რომელმაც წარმოადგინა მინდობილობა, ერთდროულად ქართულ და თურქულ ენებზე (ექვს ეგზემპლარად) და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ბატონმა ერჩიმ ტოსიალიმ, დაბ. 02.08.1968წ., მცხოვრები: ბათუმი, შ. რუსთაველის ქუჩა N.28, პირადი N.61901095561, მომმართა.


ვინაიდან ბატონი ერჩიმ ტოსიალი არ ფლობს ქართულ ენას, საანოტარო აქტის შედგენასა და დამოწმებაში მონაწილეობას იღებდა მის მიერ არჩეული, ჩემთვის პირადად ცნობილი თურქული ენის თარჯიმანი ქალბატონი ლელა ბოლქვაძე, დაბადებული 01.02.1973წ., მცხოვრები ბათუმი, ერას ქუჩა №86-ა, ბინა №32, პირადი №61002001305, რომელმაც თურქული ენის ცოდნა დაადასტურა დიპლომით აუ № 023854, გაცემული 14.09.1995წ. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სარეგისტრაციო №01/48 და განაცხადა, რომ იძლევა სწორი თარგმანის გარანტიას. ნოტარიუსმა თარჯიმანს განუმარტე არასწორი თარგმანის სამართლებრივი შედეგები, ასევე საანოტარო მოქმედების მონაწილე და თარჯიმანი გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. ხელმოწერმა და თარჯიმანმა დაადასტურეს თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობა.

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ექვსი შეტანის საფუძველი არ მქონდა. თარჯიმნის მეშვეობით დავრწმუნდი ხელმოწერის ნების გამოვლენის ნამდვილობაში, განუმარტე, რომ მინდობილობის შინაარსზე და მის სამართლებრივ შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება მასზე ხელმოწერ პირს, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი, რასაც ვამოწმებ.

ხელმოწერისა და თარჯიმნის ხელმოწერები დამოწმებულია მინდობილობის ექვსი ეგზემპლარის ქართულ-თურქულ ტექსტებზე, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ჩემი საანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცა ხელმოწერს.

დამოწმებულია ოცდაოთხი ხელმოწერის ნამდვილობა (თარჯიმნის ხელმოწერის ჩათვლით) მინდობილობის ექვსი ეგზემპლარის ქართულ-თურქულ ტექსტებზე. გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 48,0 ლარი, აგრეთვე 2,0 ლარი, საანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 31-ე და 39-ე მუხლებისა.

ნოტარიუსი _____



მარინა მახარაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N161025009



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი

08.09.2016 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის ასლის დამოწმება

ნოტარიუსი

მარინა მახარაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ.ბათუმი, ბარათაშვილის ქ.22

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

27-07-28

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

95038573315116



საქართველო

ქ. ბათუმი

ორი ათას თექვსმეტი წლის რვა სექტემბერს, მე, ნოტარიუსი მარინა მახარაძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.ბათუმი, ბარათაშვილის ქუჩა N 22, ვამოწმებ წინამდებარე ასლის (ფოტოასლის) შესაბამისობას (იდენტიურობას) წარმოდგენილ დედანთან და ვამოწმებ მის ნამდვილობას. ამასთან განვმარტავ, რომ ნოტარიუსის მიერ ასლის შესაბამისობის დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის დედნის (დამოწმებული ასლის) კანონიერებისა და ნამდვილობის დამოწმებას და შესაბამისად ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, თუკი დოკუმენტის დედანი კანონსაწინააღმდეგოა (ან შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს), ან გაყალბებულია (მატერიალურად და/ან შინაარსობრივად).

ასლი დამოწმებულია ათ ეგზემპლარად 70 გვერდზე.

გადახდილია სანოტარო საზღაური 35.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდებიდან წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა.

ნოტარიუსი

მარინა მახარაძე



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადაცემის შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18